საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1546 2017 წლის 24 ივლისი ქ. თბილისი

შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიისათვის“ უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადასცეს შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიას“ (ს/კ: 404904458) მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. სელექციაში მდებარე №72.02.42.245 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული №4 შენობა-ნაგებობა ერთი წლის ვადით.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი